სს „გალტ ენდ თაგარტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... ii-iv

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია 9
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 9
3 საკომისიო შემოსავლები და ხარჯები 21
4 საპროცენტო შემოსავლები და ხარჯებია 21
5 სხვა საოპერაციო შემოსავალი 21
6 წმინდა მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან 22
7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 22
8 მოგების გადასახადი 22
9 შემოსავალი ერთ აქციაზე 23
10 ძირითადი საშუალებები 24
11 არამატერიალური აქტივები 25
12 საინვესტიციო ქონება 25
13 ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში 26
14 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 26
15 გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები 27
16 გაცემული სესხები 27
17 გადავადებული მოგების გადასახადი 28
18 სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები 28
19 დებიტორული დავალიანება 28
20 ფული და ფულის ექვივალენტები 29
21 სააქციო და საემისიო კაპიტალი 29
22 მიღებული სესხები 30
23 კრედიტორული დავალიანება 32
24 გადავადებული შემოსავალი 32
25 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 33
26 პირობითი ვალდებულებები 34
27 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ 34
28 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 38
29 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები 38

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტში“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 22 მარტს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი	ირაკლი კირტავა	
მმართველი დირექტორი	ოთარ შარიქაძე	
მთავარი ბუღალტერი	ქეთევან ვანიშვილი	

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „გალტ ენდ თაგარტის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება), რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური(არაკონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობასა და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საარღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საარღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

22 მარტი 2018

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016
საკომისიო შემოსავალი	3	1,812,662	1,050,715
საკომისიო ხარჯი	3	(2,582,518)	(1,581,567)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**(769,856)**	**(530,852)**
საპროცენტო შემოსავალი	4	1,890,072	1,549,329
საპროცენტო ხარჯი	4	(274,249)	(121,992)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**1,615,823**	**1,427,337**
შემოსავალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირ. ცვლილებიდან	12	412,469	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	3,699,636	2,332,990
წმინდა სარგებელი ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან	6	159,272	294,967
წმინდა სარგებელი კურსთაშორის სხვაობიდან		(221,420)	826,537
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,841,748)	(3,382,131)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	2,180
სხვა ხარჯები		(34,091)	(9,161)
მოგება დაბეგვრამდე		**1,020,085**	**961,867**
მოგების გადასახადი	8	-	(146,680)
გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	17	-	(58,014)
წლის მოგება (ზარალი)		**1,020,085**	**757,173**
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		-	-
სულ სრული შემოსავლები წლის განმავლობაში		**1,020,085**	**757,173**

შემოსავალი (ზარალი) ერთ აქციაზე		ლარი	ლარი
საბაზისო და გაზავებული	9	**0.09**	**0.07**

გენერალური დირექტორი	ირაკლი კირტავა	
მმართველი დირექტორი	ოთარ შარიქაძე	
მთავარი ბუღალტერი	ქეთევან ვანიშვილი	

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-17	31-დეკ-16
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	10	308,507	277,766
საინვესტიციო ქონება	12	1,362,000	949,531
არამატერიალური აქტივები, წმინდა	11	147,638	175,283
ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში	13	2,623,611	2,623,611
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	14	928,592	928,592
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	15	126,475	339,207
გაცემული სესხები	16	6,655,552	5,572,218
გადავადებული საგადასახადო აქტივი	17	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**12,152,375**	**10,866,208**
მიმდინარე აქტივები			
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	18	5,835,213	7,520,092
გაცემული სესხები	16	225,000	-
დებიტორული დავალიანება	19	2,393,377	978,093
ფული და ფულის ექვივალენტები	20	28,940,478	15,243,905
სულ მიმდინარე აქტივები		**37,394,068**	**23,742,090**
სულ მიმდინარე აქტივები		**49,546,443**	**34,608,298**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საარქციო კაპიტალი	21	10,764,236	10,764,236
საემისიო კაპიტალი	21	24,959,537	24,959,537
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(19,549,284)	(20,569,369)
სულ კაპიტალი		**16,174,489**	**15,154,404**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	22	1,733,811	2,668,019
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**1,733,811**	**2,668,019**
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	23	28,228,401	16,163,963
გადავადებული შემოსავალი	24	2,110,524	-
მოკლევადიანი სესხები	22	1,299,218	-
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		-	475,232
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**31,638,143**	**16,785,875**
სულ ვალდებულებები		**33,371,954**	**19,453,894**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**49,546,443**	**34,608,298**

გენერალური დირექტორი	ირაკლი კირტავა	
მმართველი დირექტორი	ოთარ შარიქაძე	
მთავარი ბუღალტერი	ქეთევან ვანიშვილი	

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**10,764,236**	**24,959,537**	**(21,326,542)**	**14,397,231**
წლის მოგება (ზარალი)		-	-	757,173	757,173
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	-	757,173	757,173
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**10,764,236**	**24,959,537**	**(20,569,369)**	**15,154,404**
წლის მოგება (ზარალი)		-	-	1,020,085	1,020,085
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	-	1,020,085	1,020,085
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**10,764,236**	**24,959,537**	**(19,949,284)**	**16,174,489**

გენერალური დირექტორი	ირაკლი კირტავა	
მმართველი დირექტორი	ოთარ შარიქაძე	
მთავარი ბუღალტერი	ქეთევან ვანიშვილი	

სს „გალტ ენდ თაგარტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-17	31-დეკ-16
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		1,020,085	961,867
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10,11	151,227	130,634
საინვესტიციო ქონების გადაფასება	12	(412,469)	-
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან		221,420	(826,537)
მოგება ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან		(9,615)	(2,180)
მოგება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის გასხვისებიდან		-	(176,580)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	10	818	1,393
საპროცენტო შემოსავალი	4	(1,890,072)	(1,549,329)
საპროცენტო ხარჯი	4	274,249	121,992
ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების ზრდა	18	1,959,587	(1,530,054)
დებიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	19	(1,509,228)	119,562
კრედიტორული დავალიანების ზრდა	23	14,635,072	8,087,574
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები		**14,441,074**	**5,338,342**
გადახდილი პროცენტი		(184,472)	(108,823)
გადახდილი მოგების გადასახადი		(155,514)	(90,000)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**14,101,088**	**5,139,519**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში	14	-	(818,342)
გასაყიდად გამზადებული ფინანსური აქტივების ყიდვა/გაყიდვა	15	(35,113)	(13,998)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		14,769	26,594
მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციის გაყიდვა	14	-	382,700
ძირითადი საშუალებების შეძენა	10	(140,095)	(44,703)
არამატერიალური აქტივების შეძენა	11	(20,198)	(135)
გაცემული სესხები	16	(225,000)	-
მიღებული პროცენტი		451,951	263,673
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**46,314**	**(204,211)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შვილობილი კომპანიებიდან მიღებული სესხი	13	-	450,000
საბანკო სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	22	1,564,571	2,569,930
საბანკო სესხების დაფარვა		(1,659,631)	(1,728,947)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**(95,060)**	**1,290,983**
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით	20	**15,243,905**	**8,750,656**
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		14,052,342	6,226,291
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(355,770)	266,958
31 დეკემბრის მდგომარეობით	20	**28,940,478**	**15,243,905**

გენერალური დირექტორი	ირაკლი კირტავა	
მმართველი დირექტორი	ოთარ შარიქაძე	
მთავარი ბუღალტერი	ქეთევან ვანიშვილი	

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“ (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით: 211359206 იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში 1995 წლის 19 დეკემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის: დავით აღმაშენებლის გამზირი №79, თბილისი, საქართველო. კომპანია საქმიანობას ეწეოდა სახელწოდებით „გალტ ენდ თაგარტ სექიურითის“ 2000-2009 წლებში და „ბიჯი კაპიტალი“ 2009-2014 წლებში. კომპანიის სახელი 2014 წლის 26 აგვისტოდან არის სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“. კომპანია 2005 წლიდან წარმოადგენდა სს „საქართველოს ბანკის“ სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას. 2015 წლის ნოემბრიდან სააქციო საზოგადოება “გალტ ენდ თაგარტი“ წარმოადგენს სს „ბიჯი ფაინანშალის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 402018918) სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სს „ბიჯი ფაინანშალის“ ხმის უფლების მქონე აქციების 100%-ის (რაც შეადგენს გამოშვებული და განთავსებული აქციების 96.326%-ს) მფლობელია სს „ბიჯეო ჯგუფი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405103034). თავის მხრივ, სს „ბიჯეო ჯგუფის“ ხმის უფლების მქონე აქციების 100%-იან (რაც შეადგენს გამოშვებული და განთავსებული აქციების 99.538%-ს) მესაკუთრეს წარმოადგენს „ბიჯეო გრუფ პლს“ (BGEO Group PLC “BGEO“) (რეგისტრირებული ინგლისში უელსში, რეგისტრაციის ნომრით: 7811410). „ბიჯეო გრუფ პლს“ წარმოადგენს საჯარო კომპანიას, რომლის აქციები დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟის (London Stock Exchange PLC) პრემიუმ ლისტინგში, საბირჟო კოდით/ტიკერით - BGEO:LN.

კომპანია წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ საბროკერო კომპანიასა და საინვესტიციო ბანკს, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ბოლო, მოქმედი ლიცენზია გაცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2014 წლის 10 სექტემბრის #820 განკარულებით). კომპანია ახორციელებს საბროკერო, საინვესტიციო-საბანკო, საკონსულტაციო და აქტივების მართვის მომსახურეობებს. ასევე, ახორციელებს ფინანსური აგენტის მომსახურებას, სასესხო ფასიანი ქაღალდებისა და ჩვეულებრივი აქციების კერძო და საჯარო განთავსებებს, საკონსულტაციო მომსახურებას კორპორაციული რესტრუქტურირების პროცესში, შერწყმისა და გაყოფის ტრანზაქციებში.

კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მაკროეკონომიკური სექტორებისა და კორპორაციული ანალიტიკური კვლევები. კომპანია აღნიშნული ლიცენზირებული საქმიანობით დაკავებულია 2000 წლიდან. კომპანია უზრუნველყოფს გარიგებების დადებას წამყვან საერთაშორისო და რეგიონალურ ბაზრებზე.

კომპანია ფლობდა ფილიალს აზერბაიჯანში, რომლის მოქმედება შეჩერდა 2015 წლის 28 ოქტომბერს.

2 მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(A) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური (არაკონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არ მოემზადებინათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ დებულებების თანახმად, რადგანაც კომპანია ამისთვის აკმაყოფილებს ყველა საჭირო პირობას:

- იგი წარმოადგენს მშობელი კომპანიის სრულ მფლობელობაში არსებულ შვილობილ კომპანიას, რომელიც ამზადებს

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად, სადაც შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია.

- მისი სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ღია ბაზარზე.
- კომპანიას ფასიანი ქაღალდების კომისიისთვის არ წარუდგენია და არც ირიცხება საკუთარი ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის პროცესში, ღია ბაზარზე ინსტრუმენტთა ნებისმიერი კლასის გამოშვების მიზნებისთვის.

შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში და არ აღრიცხავს მათ კაპიტალ მეთოდით.

შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით ან ოპციონის ფასის გამოთვლის მოდელებით, რომლებიც ასახავს ემიტენტის გარკვეულ გარემოებებს). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.
სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბზრო მონაცემები).

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ცვლილებები ბასს-7- ში სახელწოდებით *Disclosure Initiative* (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები სტანდარტში, ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მომდევნო პერიოდებს, რომელიც მოითხოვს კომპანიების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა კომპანიაში ფინანსური აქტივობებიდან. ზემოთაღნიშნულს არ ექნება მატერიალური გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს-12 *გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი არარეალიზებული ზარალისთვის* (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი - დაკავშირებული სავალო ვალდებულებით გამოწვეულ

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

არარეალიზებული ზარალთან უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, პრაქტიკაში განსხვავების დასაფიქსირებლად. სავარაუდოა, რომ ზემოთაღნიშნულს არ ექნება გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული
კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

IAS 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ნებადართულია ადრეული გამოყენება), აზუსტებს:

მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე ინვესტიციების ერთობლივი საქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მქონე, საერთო ფონდების, ან სხვა მსგავი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითოეული ზემოთმოხსენებული ინვესტიცია თავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით. ცვილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

IAS 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ (ნებადართულია ადრეული გამოყენება), განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვა მუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივებისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონების გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა. ცვილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე (გამოცეშვებული 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის(ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადო თვისებაზე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდ ფულზე დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე. მოსალოდნელი არაა, რომ ზემოთაღნიშნულს მატერიალური ეფექტი ექნება კომპანიის ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოშვებული 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით კომპანიები რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქვთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ - სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან დროებითი გამონაკლისის სახით შეეძლებათ არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე. კომპანიას არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენა/ გაყიდვა“ (გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“(გამოიცა 2014 წლის ივლისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.
ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.
აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე კომპანია არის შეფასების პროცესში თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე,თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ დასრულდება დეტალური მიმოხილვა. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმკ 31 და ფაისკ 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). მენეჯმენტის მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და აპირებენ რომ გამოიყენონ მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომის მეთოდი და შედეგებს ასახავენ 2018 წლის 1 იანვრის საწყის დაგროვილ მოგებაზე. მას შემდეგ რაც სტანდარტი შევა ძალაში 2018 წლის 1 იანვარს. მიუხედავად იმისა რომ მენეჯმენტი ჯერ კიდევ განსაზღვრავს ფასს 15 ის გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ არის მიზანშეწონილი განხილულ იქნას ფინანსური დაშვებების ეფექტი სანამ მენეჯმენტი არ განახორციელებს სრულყოფილ და დეტალურ მიმოხილვას.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. მენეჯმენტის აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადეგ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(B) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

იმ შემთხვევაში, როდესაც საეჭვო ხდება სესხებისა და სხვა სავალო ინსტრუმენტების დროული დაფარვა, ისინი ექვემდებარებიან ჩამოფასებას მოსალოდნელი ფულადი შემოსულობების მიმდინარე ღირებულებამდე, შესაბამისად აღიარდება საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ღირებულების დისკონტირების გაუქმების შედეგად, რომელიც ეფუძნება გაუფასურების ზარალის შესაფასებლად გამოყენებულ აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

ყველა სხვა საზღაური, საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი, როგორც წესი, აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, გარკვეული ტრანზაქციის დასრულების მიხედვით, რაც დგინდება მთლიანი განსახორციელებელი მომსახურების ფაქტობრივად განხორციელებული ნაწილის გათვალისწინებით.

(C) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.
ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	20-25% წრფივი;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	20% წრფივი;
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	25% წრფივი.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

საიჯარო აქტივები
იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იქმნება რეზერვი საოპერაციო იჯარის არახელსაყრელი ელემენტის მიმდინარე ღირებულების ოდენობით. აღნიშნული წარმოიშობა, როდესაც კომპანია წყვეტს შენობა-ნაგებობების გამოყენებას და ისინი ვაკანტური რჩება იჯარის დასრულებამდე ან ქვეიჯარით გააქირავებს მათ საიჯარო გადასახადის სანაცვლოდ, რომელიც ნაკლებია კომპანიის მიერ იჯარის ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ თანხაზე.

(D) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. საბალანსო ღირებულება მოიცავს არსებული საინვესტიციო ქონების ნაწილის შეცვლის ხარჯს იმ დროისთვის, როდესაც გაწეულ იქნა ეს ხარჯი, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები და მასში არ შედის საინვესტიციო ქონების ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება ან ზარალი აღირიცხება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც წარმოიშვა აღნიშნული მოგება თუ ზარალი.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც ხდება საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

საინვესტიციო ქონების ანგარიშზე ან ანგარიშიდან ქონების გადატანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს სარგებლობის ცვლილებას. საინვესტიციო ქონების მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებად გადატანის შემთხვევაში, ქონება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით სარგებლობაში მომხდარი ცვლილების თარიღისთვის. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება იქცევა საინვესტიციო ქონებად, კომპანია ასეთ ქონებას აღრიცხავს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად სარგებლობაში ცვლილების მოხდენის თარიღამდე.

(E) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები
ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული

ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები
როგორც წესი, განვითარების ხარჯები წარმოადგენენ კომპანიისთვის მნიშვნელოვან შიგნით წარმოქმნილ არამატერიალურ აქტივებს. ინდივიდუალურ პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია პროექტის სამომავლო ეკონომიკური სარგებელი და დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: (ა) შესაძლებელია განვითარების ხარჯების ზუსტად შეფასება, (ბ) დადასტურებულია პროდუქტის ტექნიკური შესაძლებლობები და (გ) ხელმძღვანელობას აქვს განზრახვა და უნარი დაასრულოს არამატერიალური აქტივი და გამოიყენოს ან გაყიდოს იგი.

კომპანიის მიერ მართულ ბიზნესის სახეობაზე და კომპანიის მიერ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორც წესი, გონივრულად დადასტურდება ის ფაქტი, რომ არამატერიალური აქტივი წარმოქმნის სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, პროდუქტის ბაზარზე გასვლამდე მცირე ხნით ადრე. აღნიშნულ დრომდე გაწეული ხარჯები არ ექვემდებარება აღდგენას.
კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ძირითადად დაკავშირებულია სუბიექტის შიგნით განვითარებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან და დაპატენტებულ ტექნოლოგიებსა და პროცესებთან.

კვლევის ხარჯები აღიარდება ხარჯებად მათი გაწევისთანავე.
თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ექვემდებარებიან ზემოთ მითითებულ, ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკას.

ამორტიზაცია
განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის 5-წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.
განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს დადგენილია G ნაწილში.

(F) ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები შვილობილი და მეკავშირე კომპანიებიდან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი.

(G) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება
ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდუდესი აქტივის გამოყენებით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელსა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულადი სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და იმ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებაც ხდება.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება
მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად ხდება ასეთი აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება, თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას.

(H) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება
კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება
ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს შემდეგ კატეგორიებად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგება ან ზარალში ასახვით (FVTPL) აქტივები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო აქტივები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც გამოიყენება ეფექტური ჰეჯირებისათვის) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად.

FVTPL ფინანსური აქტივების ხელახალი შეფასებისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი მოიცავს ნებისმიერ დივიდენდს ან გამომუშავებულ საპროცენტო სარგებელს და აღიარდება მოგება-ზარალში.

სესხები და მოთხოვნები სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ კატეგორიაში შეუძლებელია ისეთი აქტივების კლასიფიცირება, რომელთა გაყიდვასაც კომპანია დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გეგმავს. ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქნილი ზარალი.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული საზღაურით და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომელთა ფლობის განზრახვა და უნარი კომპანიას ვალდებულების შესრულების ვადამდე აქვს. ამ კატეგორიაში დაუშვებელია იმ ფინანსური აქტივების კლასიფიცირება, რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით და ასახავს მოგება-ზარალში და აქტივებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ სესხებისა და მოთხოვნების განმარტებას. სესხებისა და მოთხოვნების მსგავსად, ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობით წარმოქნილი ზარალი.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული (AFS) ფინანსური აქტივები ეს არაწარმოებული ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებით მიეკუთვნება არსებულ ხელმისაწვდომ აქტივებს ან არ არის კლასიფიცირებული ზემოთ მითითებულ არც ერთ კატეგორიაში. ისინი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თუმცა, არაკოტირებული საფონდო ინსტრუმენტები აღირიცხება თვითღირებულებით, როდესაც შეუძლებელია მათი სამართლიანი ღირებულების ზუსტად შეფასება.

კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგებისა და ზარალის, საპროცენტო შემოსავლისა და დივიდენდების გარდა, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში, ცვლილებები AFS ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება გადაფასების რეზერვში, სანამ არ მოხდება ინვესტიციის გასხვისება ან გაუფასურებულად განსაზღვრა. ამ დროისთვის, გადაფასების რეზერვში უკვე დაგროვებული კუმულაციური მოგება/ზარალი რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს (გარდა FVTPL ტიპის აქტივებისა) გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო და სხვ.

AFS საფონდო ინსტრუმენტებისთვის, გაუფასურების ობიექტურ სამხილად ასევე ითვლება ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი ვარდნა ფასის დონის ქვემოთ.

ამასთანავე, დებიტორული დავალიანების გაუფასურებას, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის მიერ გადასახდელების მოკრების წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ. მხოლოდ გაცემულ სესხებისა და დებიტორული დავალიანებისთვის საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საეჭვო ვალების რეზერვში. საეჭვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივისთვის, საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან საეჭვო ვალების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკანდაბრუნების დღეს.

AFS სავალო ფასიანი ქაღალდებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების ზრდა ობიექტურად ამყარებს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, გაუფასურების ზარალი შემდგომ რევერსირდება მოგებისა ან ზარალის მეშვეობით. AFS წილობრივ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით კი, გაუფასურების ზარალის დადგომის შემდეგ სამართლიანი ღირებულების ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში და გროვდება გადაფასების რეზერვში; გაუფასურების ზარალი არ რევერსირდება მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა
გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომლებიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ის ფაქტი, სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება
ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულების აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. ამგვარი ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, ამ კატეგორიაში მოხვედრილ ვალდებულებებზე არ ხდება გადაფასდება, ვინაიდან მათი სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა - მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა
ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები
ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(I) შეწყვეტილი ოპერაციები და გასაყიდად გამიზნული აქტივები

შეწყვეტილი ოპერაციები
შეწყვეტილი ოპერაციები წარმოადგენენ ბიზნესის ცალკეულ ძირითად ხაზებს ან გეოგრაფიულ სეგმენტებს, რომლებიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული. როდესაც ისინი გამიზნული იყო გამოყენებისთვის, შეწყვეტილი ოპერაციები წარმოადგენდა ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს ან ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულთა ჯგუფს. ისინი წარმოადგენენ ოპერაციებსა და ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც ცალსახად განსხვავდება სუბიექტის სხვა ნაწილებისგან, ოპერაციულად და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. მათი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცალკე არის ნაჩვენები და შედარებითი მონაცემები ხელახლა გამოისახება მათი უწყვეტიდან შეწყვეტილ ოპერაციებში რეკლასიფიცირებისთვის.

(J) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

(K) გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი მოიცავს შემოსავალს რომლის მიღებაც კომპანიის მიერ მოხდა ავანსად. კომპანია გადავადებულ გადასახადს აღრიცხავს შემოსავლის გამომუშავების პროცენტული მაჩვენებლის შესაბამისად.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(L) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტარნზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადავადებულია სხვა სრულ შემოსავალში, როგორც ფულადი ნაკადების ჰეჯირება).

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	USD	**EUR**	**GBP**
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6468	2.7940	3.2579
გაცვლითი კურსი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2.3966	2.6137	3.5522
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5086	2.8322	3.2315
საშუალო გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.3667	2.6172	3.2051

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად ხელმისაწვდომი წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

(M) საპენსიო შეღავათები

კომპანიას აქვს საპენსიო ფონდი ფიქსირებული შენატანებით ყველა თანამშრომლისთვის. საპენსიო ფონდში წლიური ფიქსირებული შენატანი ფიქსირდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში. ნებისმიერი კუმულაციური სხვაობა გადასახდელ და გადახდილ თანხებს შორის, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც დებიტორული ან კრედიტორული დავალიანება, მაგრამ ამავე დროს აღნიშნული ფონდების აქტივები და ვალდებულებები არ წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ნაწილს, ვინაიდან დამქირავებელს აღნიშნული ფონდების წევრებთან არ აქვს რაიმე სახის რისკები და სარგებელი.

(N) მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[1]-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(O) ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებასა და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად. საგარანტიო ანარიცხები ფასდება ალბათობის მოდელების გამოყენებით, წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.
რესტრუქტურირების ანარიცხები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაზარალებულ მხარეს წარედგინება ფორმალური გეგმა.

(P) კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან

პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

სახაზინო აქციები

შესყიდული სახაზინო აქციების ფასი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება კაპიტალიდან გამოქვითვით. სახაზინო აქციების გაყიდვა ან ხელახალი გამოშვება აისახება როგორც კაპიტალის ზრდა. შედეგად, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ აისახება რაიმე სახის მოგება ან ზარალი სახაზინო აქციებიდან.

3 საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

	2017	2016
საბროკერო საქმიანობიდან	961,861	676,329
აქციების შენახვის საკომისიო	327,927	213,310
შემოსავლები სავაჭრო პლატფორმიდან	519,953	158,333
სხვა საკომისიო შემოსავალი	2,921	2,743
სულ საკომისიო შემოსავალი	**1,812,662**	**1,050,715**
საკომისიო ხარჯი	(2,582,518)	(1,581,567)
წმინდა საკომისიო ზარალი	**(769,856)**	**(530,852)**

კომპანია იყენებს საერთაშორისო სავაჭრო პლათფორმას ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობისთვის. აღნიშნული სერვისისთვის კომპანია იხდის ანაზღაურებას რომელმაც 2017 წელს შეადგინა 2,087,112 ლარი (2016: 1,140,114 ლარი)

4 საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

	2017	2016
კომერციული სესხები	1,164,340	905,525
პროცენტიანი ფასიანი ქაღალდები	516,438	503,642
საბანკო დეპოზიტები	209,294	140,162
სულ საპროცენტო შემოსავალი	**1,890,072**	**1,549,329**
საპროცენტო ხარჯი	(274,249)	(121,992)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(274,249)**	**(121,992)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**1,615,823**	**1,427,337**

საპროცენტო ხარჯი მოიცავს საკრედიტიო ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე დარიცხულ თანხებს, დეტალური ინფორმაციისთვის მიღებული სესხების და საპროცენტო განაკვეთების შესახებ იხილეთ შენიშვნა 22.

5 სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2017	2016
საინვესტიციო-საბანკო საქმიანობა	**3,558,109**	**2,260,253**
განთავსების საკომისიო	1,623,734	1,776,169
ფინანსური შემოსავალი გარდა განთავსების საკომისიოსა	1,934,375	484,084
შემოსავალი კვლევებიდან	**50,080**	**21,581**
სხვა შემოსავალი	**91,447**	**51,156**
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	**3,699,636**	**2,332,990**

ფინანსური შემოსავალი გარდა განთავსების საკომისიოსა მოიცავს რეფინანსირების მომსახურეობის შედეგად გამომუშავებულ შემოსავალს 985,276 ლარის ოდენობით (იხ. შენიშვნა 24)

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6 წმინდა მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან

	2017	2016
ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან მიღებული წმინდა მოგება	71,923	294,967
ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან მიღებული მოგება	87,349	-
წმინდა მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან	**159,272**	**294,967**

კომპანიის მიერ ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მიღებული წმინდა მოგება გამომუშავებულ იქნა 25 კომპანიის ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის შედეგად.

7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
ხელფასები (გარდა წლიური ბონუსებისა)	1,481,719	1,398,557
წლიური ბონუსი	1,662,577	1,189,840
იჯარა და კომუნალური გადასახადები	182,770	250,636
გაყიდვები და მარკეტინგი	68,876	175,931
ცვეთა და ამორტიზაცია	151,228	130,634
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	79,930	93,298
საეჭვო მოთხოვნები	19,266	-
მოვლინება	32,473	76,552
წარმომადგენლობის ხარჯები	21,002	34,964
გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა	16,309	12,772
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	125,598	18,947
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**3,841,748**	**3,382,131**

ზემოთ აღნიშნული საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურეობის ხარჯი მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუდიტის ღირებულებას 22,000 ლარის ოდენობით (2016:19,000 ლარი).

ზემოთ აღნიშნული ბონუსები მოიცავს 2017 წლის განმავლობაში კომანიის მიერ გაცემულ ბონუსებს. გაცემული ბონუსის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სხვა კომპანიების სავაჭრო აქციებს, გაცემული ბონუსების სახით 819,714 ლარის ოდენობით, რომელიც ინიცირებულ იქნა გენერალური დირექტორის ხოლო დამტკიცებულ იქნა დირექტორთა საბჭოს მიერ. ბონუსის მეორე ნაწილი მოიცავს ბონუსებს 842,863 ლარის ოდენობით.

8 მოგების გადასახადი

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოგების გადასახადის ხარჯის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს:

	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	146,680
გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯი (სარგებელი)	-	58,014
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	**-**	**204,694**

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად,

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ცვლილებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. 2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადი გამოითვლებოდა წლიური დასაბეგრი მოგების 15%-ის ოდენობით.

9 შემოსავალი ერთ აქციაზე

	31-დეკ-17	31-დეკ-16
მრიცხველი: კაპიტალით მიღებული შემოსავალი		
წლის მოგება (ზარალი)	1,020,085	757,173
შემოსავლები – საბაზისო და გაზავებული	**1,020,085**	**757,173**

მნიშვნელი: აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	**აქციათა რაოდენობა**	აქციათა რაოდენობა
საბაზისო და გაზავებული	**10,764,236**	**10,764,236**
საბაზისო და გაზავებული	**0.09**	**0.07**

აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა მიუთითებს პერიოდის განმავლობაში მიმოქცევაში არსებულ აქციებზე.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10 ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	მანქანები	ი.ჯ. აღ. ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2015 წელი	**158,505**	**95,666**	**28,900**	**137,687**	**420,758**
შეძენა	21,668	21,278	-	1,757	44,703
გასხვისება	-	-	(28,900)	-	(28,900)
ჩამოწერა	(1,393)	-	-	-	(1,393)
31 დეკემბერი 2016 წელი	**178,780**	**116,944**	**-**	**139,444**	**435,168**
შეძენა	52,117	81,135	-	6,843	140,095
გასხვისება	(14,769)	-	-	-	(14,769)
ჩამოწერა	-	(818)	-	-	(818)
31 დეკემბერი 2017 წელი	**216,128**	**197,261**	**-**	**146,287**	**559,676**
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2015 წელი	**31,493**	**32,542**	**4,486**	**9,314**	**77,835**
ცვეთის ხარჯი	29,468	16,910	-	37,675	84,053
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	(4,486)	-	(4,486)
31 დეკემბერი 2016 წელი	**60,961**	**49,452**	**-**	**46,989**	**157,402**
ცვეთის ხარჯი	37,671	30,404	-	35,309	103,384
გაყიდული ქონების ცვეთა	(8,800)	(817)			(9,617)
31 დეკემბერი 2017 წელი	**89,832**	**79,039**	**-**	**82,298**	**251,169**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2015 წელი	127,012	63,124	24,414	128,373	342,923
31 დეკემბერი 2016 წელი	117,819	67,492	-	92,455	277,766
31 დეკემბერი 2017 წელი	**126,296**	**118,222**	**-**	**63,989**	**308,507**

2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო იპოთეკით დატვირთული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

11 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები და პატენტები	პროგრ. უზრუნვ.	სულ
ხარჯი			
31 დეკემბერი 2015 წელი	**237,183**	**29,517**	**266,700**
შეძენა	-	135	135
გასხვისება	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2016 წელი	**237,183**	**29,652**	**266,835**
შეძენა	2,194	18,005	20,199
გასხვისება	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2016 წელი	**239,377**	**47,657**	**287,034**
ამორტიზაცია			
31 დეკემბერი 2015 წელი	**22,498**	**22,473**	**44,971**
ამორტიზაციის ხარჯი	45,802	779	46,581
ჩამოწერილი აქტივის ამორტიზაცია	-	-	-
31 დეკემბერი 2016 წელი	**68,300**	**23,252**	**91,552**
ამორტიზაციის ხარჯი	45,809	2,035	47,844
ჩამოწერილი აქტივის ამორტიზაცია	-	-	-
31 დეკემბერი 2017 წელი	**114,109**	**25,287**	**139,396**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2015 წელი	214,685	7,044	221,729
31 დეკემბერი 2016 წელი	168,883	6,400	175,283
31 დეკემბერი 2017 წელი	**125,268**	**22,370**	**147,638**

2017 წლის განმავლობაში შეძენილ არამატერიალურ აქტივებში წარმოდგენილი თანხა ასახავს სს „საქსო ბანკის“ საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმის შეძენისთვის გაწეულ დანახარჯს.

12 საინვესტიციო ქონება

	31-დეკ-17	31-დეკ-16
1 იანვრის მდგომარეობით	949,531	949,531
სამართლიანი ღირებულების კორექტირებიდან მიღებული მოგება	412,469	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,362,000**	**949,531**

საინვესტიციო ქონებების მისამართია ჭავჭავაძის გამზ. N7, თბილისი, საქართველო

საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი სერტიფიცირებული შემფასებლის, შპს „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ (სერთიფიკატის N A-0189) მიერ შეფასების საფუძველზე. შეფასება ჩატარდა საბაზრო მეთოდით, რომელიც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების შეფასების მე-3 დონეს.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2016 წლის 4 ნოემბრის ხელშეკრულების მიხედვით, საინვესტიციო ქონება იჯარით გადაცემული იყო სს „საქართველოს ბანკზე“ 6 თვის ვადით. საიჯარო ქირა შეადგენს 4,500 ა.შ.შ. დოლარს, რაც დაფუძნებულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2016 წლის 3 ნოემბრის დასკვნის შედეგზე.

13 ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში

	31-დეკ-17	31-დეკ-16
ბალანსი გაუფასურებამდე		
გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ ლიმიტედ (99.23% წილი კაპიტალში)	2,623,611	2,623,611
სულ ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში	**2,623,611**	**2,623,611**
გაუფასურება		
გაუფასურების ზარალი შვილობილ კომპნიებში განხორციელებული ინვესტიციებზე	-	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,623,611**	**2,623,611**

შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ ლიმითედი“ საიდენტიფიკაციო ნომრით 179498 დარეგისტრირდა 2006 წლის 3 ივლისს კვიპროსში საბერძნეთში. კომპანიის იურიდიული მისამართია . Makariou III 58, IRIS TOWER, 7-th floor, Flat/Office 702 P.C. 1075, კვიპროსი, საბერძნეთი.

შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგში“ ინვესტირება არ წარმოადგენს კომპანიის ძირითად საოპერაციო საქმიანობას. ამასთან, ეს ინვესტიცია დაკავშირებულია მშობელი კომპანიის სტრატეგიულ ბიზნეს ოპერაციებთან. სს „გალტ ენდ თაგარტის“ ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირდება მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

მშობელმა კომპანიამ შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგში“ განახორციელა ინვესტიცია სს „გალტ ენდ თაგარტის“ მეშვეობით. ასეთი ინვესტიცია შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგში“ ბოლოს 2015 წლის აპრილში განხორციელდა და 22.3 მლნ. ლარი შეადგინა.

კომპანიის მენეჯმენტის მიერ, 2017 წლის ბოლოს, შვილობილ კომპანიაში ინვესტიციაზე ჩატარებული გაუფასურების ტესტის მიხედვით არ გამოვლინდა ასეთი ინდიკატორები.

ქვემოთ მოცემულია არაკონსოლიდირებული შვილობილი კომპანიის არა-აუდირებული ფინანსური ინფორმაცია:

31 დეკემბერი 2017	
სულ აქტივები	3,126,000
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3,126,000
2017 წლის მოგება/ზარალი	
პერიოდის მოგება/ზარალი	89,000

14 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

	31-დეკ-17	31-დეკ-16
საქართველოს საფონდო ბირჟა (17.33% წილი კაპიტალში [2016: 44%]	110,250	110,250
თბილისის საფონდო ბირჟა (21.59% წილი კაპიტალში)	818,342	818,342
სულ ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	**928,592**	**928,592**

2016 წლის განმავლობაში კომპანიამ გაასხვისა სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციათა ნაწილი და შეისყიდა მისი შვილობილი კომპანიის, სს „თბილისის საფონდო ბირჟის“, აქციების წილი, 21.59%-ის ოდენობით.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანია მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციებს არ აღრიცხავს კაპიტალის მეთოდით, რადგან ისინი აღირიცხება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“:

31 დეკემბერი 2017	
სულ აქტივები	772,213
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	772,213
2017 წლის მოგება/ზარალი	
პერიოდის მოგება/ზარალი	(26,941)

სს „თბილისის საფონდო ბირჟა“:

31 დეკემბერი 2017	
სულ აქტივები	2,431,998
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2,431,998
2017 წლის მოგება/ზარალი	
პერიოდის მოგება/ზარალი	(62,810)

15 გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

	31-დეკ-17	**31-დეკ-16**
1 იანვრის მდგომარეობით	**339,207**	**77,364**
შეძენა	35,113	261,843
გასვლა	(247,845)	-
სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	**126,475**	**339,207**

16 გაცემული სესხები

ქვემოთ წარმოდგენილია გაცემული სესხები პერიოდის ბოლოსთვის:

	31-დეკ-17	**31-დეკ-16**
მოკლევადიანი სესხები	225,000	-
გრძელვადინი სესხები	6,655,552	5,572,218
სულ გაცემული სესხები	**6,880,552**	**5,72,218**

2014 წელს კომპანიამ 1,300,000 დოლარის ოდენობის სასესხო ხელშეკრულება (სუბორდინირებული სესხი) გააფორმა ქართულ სავაჭრო მაღაზიათა ქსელ „ორი ნაბიჯთან“ („მსესხებელი“). სესხი გაიცა ხუთი წლის ვადით და ერიცხება წლიური 20% (წლიურ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეტსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის არ არის არსებითი განსხვავება), რომელიც კაპიტალიზირდება ყოველთვიურად. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გაცემული კრედიტი სუბორდინირებულია და ექვემდებარება მსესხებლის სხვა კრედიტორების მოთხოვნებს, რომელთაც ექნებათ გადახდისა და დაფარვის უფრო მაღალი პრიორიტეტი.

სესხის საბალანსო ღირებულება აისახება ამორტიზირებული ღირებულებით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,655,552 ლარს (2016: 5,572,218 ლარი).

სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მსესხებლის შემდეგი ვალდებულებები და უზრუნველყოფები:

- სს „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ წარმოდგენილი კანდიდატის შეყვანა მმართველობითი ორგანოს შემადგენლობაში დამსწრის სტატუსით;
- მსესხებლის 100%-იანი წილის პირველადი გირავნობა და დამფუძნებლის თავდებობა;
- მსესხებლის ყველა მიმდინარე და მომავალი აქტივების დატვირთვა გირავნობითა და იპოთეკით. ამგვარი გირავნობა და იპოთეკა იქნება ყოველთვის მეორადი თუ კლიენტს აქვს უფრო მაღალი პრიორიტეტის სესხი არაუმეტეს 650,000 აშშ დოლარის ფარგლებში;
- გონივრულ ვადაში ფინანსური ინფორმაციის, მომდევნო წლის ბიუჯეტის, ბიზნეს გეგმის, შუალედური ფინანსური ანგარიშის მიმოხილვისა და ყოველწლიური აუდირებული ანგარიშის მოწოდება.

კომპანია მსესხებლის მენეჯმენტთან ერთად კვარტლურად განიხილავს ფინანსურ მაჩვენებლებსა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის პირობების შესრულების დონეს ერთობლივ სხდომებზე. ბოლო სხდომა გაიმართა 2017 წლის ნოემბერში, სადაც განხილული იყო მსესხებლის 2017 წლის მე-3 კვარტლის შედეგები. ამ პერიოდისთვის მსესხებელს არ ჰქონდა დარღვეული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები და უზრუნველყოფები. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, 2017 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შენარჩუნებული იყო ზემოთხსენებული მდგომარეობა.

2017 წლის 28 დეკემბერს კომპანიამ გასცა 225,000 ლარის ღირებულების მოკლევადიანი სესხი ფიზიკურ პირზე. ხელშეკრულების თანახმად სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 5 იანვრით ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი 20%-ით (წლიურ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის არ არის არსებითი განსხვავება).

17 გადავადებული მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

18 სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები

	31-დეკ-17	31-დეკ-16
საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ინსტრუმენტები	5,473,895	7,506,774
წილობრივი ინსტრუმენტები	378,818	13,318
სულ სავაჭროდ ფლობილი ქაღალდები	**5,852,713**	**7,520,092**

ყველა სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ინსტრუმენტების ბალანსში გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტებზე დარიცხული მისაღები კუპონური პროცენტი.

19 დებიტორული დავალიანება

	31-დეკ-17	31-დეკ-16
წინასწარ გადახდილი ბონუსის ხარჯი	501,731	521,292
კლიენტების და სხვა მხარეების მიერ გადასახდელი თანხები	1,880,201	420,898
დაბრუნებას დაქვემდებარებული გადასახადები	1,583	9,847
წინასწარ გადახდილი ხელფასი	6,684	8,153
სხვა წინასწარგადახდები	3,178	17,903
სულ დებიტორული დავალიანება	**2,393,377**	**978,093**

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

სხვა წინასწარ გადახდილი ბონუსის ხარჯი შეადგენს BGEO-ს აქციები რომლებიც გადაცემულია თანმაშრომლებისთვის, პირობის თანახმად თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში აქციები ბრუნდება კომპანიის საკუთრებაში. ბონუსის გაცემის მომენტში კომპანია აღიარებს ვალდებულებას თანამშრომლის მიმართ და აღრიცხავს როგორც წინასწარ გადახდილ ბონუსს, წინასწარ გადახდილი ბონუსის ხარჯად აღიარება ხდება განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

20 ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-17	31-დეკ-16
კლიენტების ფულადი სახსრები	24,946,862	14,785,975
ნაშთი საბანკო ანგარიშზე	3,993,616	422,862
მოკლევადიანი დეპოზიტები	-	35,068
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**28,940,478**	**15,243,905**

დეპოზიტები შედგება სხვადასხვა პერიოდის მქონე მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი შესაბამისი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე (1%-დან 4%-მდე). ამ ტიპის საპროცენტო სარგებელი წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს კლიენტების თანხებს (24,946,862 ლარი) რომლებიც გამოიყენება მათივე დავალებით ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისათვის. ეს თანხები აღიარებულია ვალდებულებად და ასახულია კლიენტების მიმართ კრედიტორულ დავალიანებაში (იხ. 23-ე შენიშვნა).

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

21 სააქციო და საემისიო კაპიტალი

	31-დეკ-17	31-დეკ-16
ნებადართული კაპიტალი:		
20,000,000 ნებადართული ჩვეულებრივი აქცია თითოეული 1 ლარის ოდენობით	-	-
გამოშვებული და სრულად გადახდილი:		
10,764,236/10,764,236 ჩვეულებრივი აქცია თითოეული 1 ლარის ოდენობით	10,764,236	10,764,236

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საემისიო კაპიტალი

საემისიო კაპიტალი მოიცავს კომპანიის აქციონერების მიერ აქციათა ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ოდენობით კაპიტალში შეტანილ თანხებს, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 24,959,537 ლარს (2016: 24,959,537 ლარი).

სააქციო კაპიტალი 2017 წლის მდგომარეობით მოიცავს 1 ლარის ღირებულების 10,764,236 აქციას (2016: 10,764,236)

22 მიღებული სესხები

ქვემოთ მოცემულია მიღებული სესხები პერიოდის ბოლოსთვის:

	31-დეკ-17	31-დეკ-16
მოკლევადიანი სესხები	1,299,218	475,232
გრძელვადიანი სესხები	1,733,811	2,668,019
სულ მიღებული სესხები	**3,033,029**	**3,143,251**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიღებული მოკლევადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო გან.	ვალუტა	თანხა(ლარში)
სს „ბაზისბანკი“	17.08.2017	16.08.2018	8.25%	ლარი	460,225
სს „საქართველოს ბანკი“	16.06.2017	19.03.2018	8.5%	ლარი	333,661
სს “Galt and Taggart Holding Limited”	22.12.2016	11.01.2018	12%	ლარი	505,332
სულ მოკლევადიანი სესხები					**1,299,218**
ძირითადი თანხა					1,229,000
საპროცენტო ვალდებულება					70,218
სულ მიმდინარე სესხები					**1,299,218**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიღებული მოკლევადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო გან.	ვალუტა	თანხა(ლარში)
სს “Galt and Taggart Holding Limited”	22.12.2016	11.01.2018	12%	ლარი	475,232
სულ მოკლევადიანი სესხები					**475,232**
ძირითადი თანხა					450,000
საპროცენტო ვალდებულება					25,232
სულ მიმდინარე სესხები					**475,232**

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიღებული გრძელვადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო გან.	ვალუტა	თანხა(ლარი)
სს „პაშა ბანკი“	07.10.2016	07.10.2019	7%	აშშ დოლარი	1,733,811
სულ გრძელვადიანი სესხები					**1,733,811**
ძირითადი თანხა					1,709,549
საპროცენტო ვალდებულება					24,262
სულ გრძელვადიანი სესხები					**1,733,811**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიღებული გრძელვადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო გან.	ვალუტა	თანხა(ლარი)
სს „პაშა ბანკი“	07.10.2016	07.10.2019	7%	აშშ დოლარი	2,668,019
სულ გრძელვადიანი სესხები					**2,668,019**
ძირითადი თანხა					2,643,971
საპროცენტო ვალდებულება					24,048
სულ გრძელვადიანი სესხები					**2,668,019**

გრძელვადიანი საბანკო სესხი მიღებულია აშშ დოლარში, წლიური 7%-იანი საპროცენტო განაკვეთით (ეფექტური: 7.11%) 2019 წლის 7 ოქტომბრამდე. კომპანია სესხის პროცენტს კვარტლურად იხდის, ხოლო ძირის დაფარვა ხელშეკრულების ვადის ბოლოს მოხდება.

გრძელვადიანი სესხები უზრუნველყოფილია სს m2-ის უძრავი ქონების და სახაზინო (სახელმწიფო) ობლიგაციებით. ხელშეკრულების შესაბამისად საბაზრო ღირებულების კოეფიციენტი არ უნდა დაეცეს 1-ზე ქვემოთ, ასეთ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფა კოეფიციენტის მაჩვენებლის საწყის დონემდე შესავსებად, ხოლო მსესხებელი ვალდებულია შეავსოს ობლიგაციების უზრუნველყოფა მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობა არ არის დარღვეული.

23 კრედიტორული დავალიანება

	31-დეკ-17	31-დეკ-16
კრედიტორული დავალიანება კლიენტების მიმართ	24,946,862	14,785,975
გადასახდელი ბონუსები	842,863	840,750
გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები	2,417,411	524,271
სხვა დავალიანება	21,265	12,967
სულ კრედიტორული დავალიანება	**28,228,401**	**16,163,963**

დარიცხულ ვალდებულებებში იგულისხმება სხვადასხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი წლის დასასრულს.

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

გარიგებებისა და მომსახურეობისთვის გადასახდელი თანხები მოიცავს ვაჭრობის შედეგად კლიენტის მიერ გამომუშავებულ თანხებს რომლის გადახდაც მოხდება მომდევნო პერიოდში.

24 გადავადებული შემოსავალი

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 3,095,800 ლარის შემოსავალი ფინანსური შუამავლობისთვის რომელსაც კომპანია აღიარებს 2 წლის პერიოდზე პროპორციულად.

	31-დეკ-17	31-დეკ-16
საკონტრაქტო ღირებულება	3,095,800	-
პერიოდის განმავლობაში გამომუშავებული შემოსავალი	(985,276)	-
სულ გადავადებული შემოსავალი	**2,110,524**	**-**

25 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

სს „ბიჯი ფაინენშალი“, სს „ბიჯეო ჯგუფის“ წევრი, ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების 100%-ს. სს „საქართველოს ბანკი“ წარმოადგენს სს „ბიჯეო ჯგუფის“ მნიშვნელოვან მაკონტროლებელ ნაწილს. სს „ბიჯეო ჯგუფი“ აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირებას, რომელიც საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

	31-დეკ-17	31-დეკ-16
ტრანზაქციების მოცულობა		
ტრანზაქციები სს „საქართველოს ბანკთან“:		
ვაჭრობა & მომსახურება	-	75,000
საკომისიო შემოსავალი	5,237	2,032
საკომისიო ხარჯი	197,075	178,503
იჯარის და სხვა საოპერაციო ხარჯი	158,892	152,566
ვაჭრობა და მომსახურებიდან ხარჯი	63,656	149,174
საპროცენტო შემოსავალი	128,379	44,157
საიჯარო შემოსავალი	44,496	19,425

ტრანზაქციების მოცულობა		
ტრანზაქციები ორგანიზაციებთან, რომლებსაც აკონტროლებს სს „საქართველოს ბანკი“:		
საკომისიო შემოსავალი	92,055	36,828
საკომისიო ხარჯები	1,398	2,337
საიჯარო შემოსავალი	5,962	23,320
წმინდა მოგება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან	-	-
აქტივების რეალიზაცია	-	26,593
დაზღვევის ხარჯი	24,017	21,594
ვაჭრობა და მომსახურებიდან შემოსავალი	1,362,370	1,155,645
საპროცენტო ხარჯი	54,148	1,184

ზემოთ მოცემული ტრანზაქციები განხორციელდა იმავე პირობებით, როგორც არადაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები.

	31-დეკ-17	31-დეკ-16
დავალიანების ნაშთი		
სს „საქართველოს ბანკთან“:		
ფული და ფულის ექვივალენტები	24,679,100	10,622,540
მოკლევადიანი სესხები	333,661	-
დებიტორული დავალიანება	-	810
კრედიტორული დავალიანება	47,741	98,572

	2017	2016
დავალიანების ნაშთი		
„საქართველოს ბანკის“ მიერ კონტროლირებად ორგანიზაციებთან:		
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები	2,706,177	6,402,100
დებიტორული დავალიანება	9,688	45,939
მოკლევადიანი სესხები	505,332	451,184
კრედიტორული დავალიანება	350,832	20,951

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	31-დეკ-17	31-დეკ-16
ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება		
ხელფასები და დანამატები	565,548	433,782

26 პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე
2016 წლის იანვარში კომპანიამ გააფორმა ერთწლიანი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“, სადაც კომპანია წარმოდგენილია როგორც მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიამ იჯარით აიღო საოფისე ფართი, სადაც იგი ამჟამად ახორციელებს თავის ძირითად საოპერაციო საქმიანობას. აღნიშნული ხელშეკრულება არ ექვემდებარება გაუქმებას და განახლებადია მომავალ პერიოდებშიც. ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 5,258 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახადი, რომელიც უნდა დაიფაროს ერთი წლის ვადაში, შეადგენს 163,557 ლარს.

საოპერაციო იჯარის გადასახადი 2017 წელს ჩათვლილია ხარჯებში და შეადგენს 158,892 ლარს (2015: 152,566).

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მეიჯარე
2016 წლის ნოემბერში, კომპანიამ გააფორმა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“, რომელიც არ ექვემდებარება გაუქმებას. იჯარის აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო კომპანიის საინვესტიციო ქონების ქირავნობაზე და მისი მოქმედების ვადა არის 6 თვე. იჯარის ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 4,500 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

კომპანია ერთი წლის ვადაში მიიღებს 139,979 ლარის მინიმალურ საიჯარო შემოსავალს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით (2016: 142,927).

27 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
    - საპროცენტო რისკი
    - სავალუტო რისკი
    - ფასიანი ქაღალდების რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31-დეკ-17	31-დეკ-16
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	28,940,478	15,243,905
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	5,835,213	7,520,092
გაცემული სესხები	6,880,552	5,572,218
დებიტორული დავალიანება	2,393,377	978,093
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	126,475	339,207
სულ ფინანსური აქტივები	**44,176,095**	**29,653,515**
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	28,228,401	16,163,963
მოკლევადიანი სესხები	1,299,218	475,232
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	-	146,680
გრძელვადიანი სესხები	1,733,811	2,668,019
სულ ფინანსური ვალდებულებები	**31,261,430**	**19,453,894**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც დაჯგუფებულია 1-3 დონეებად. აღნიშნული დონეები შემუშავებულია იმისთვის, რომ განისაზღვროს, რამდენად შეინიშნება სამართლიანი ღირებულება:

	სამართლიანი ღირებულებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს		
	დონე 1	**დონე 2**	**დონე 3**
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ფული და ფულის ექვივალენტები	28,940,478	-	
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	5,835,213	-	-
გაცემული სესხები	-	-	6,880,552
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	126,475	-	-
დებიტორული დავალიანება	-	-	2,393,377
სულ	**34,902,166**	**-**	**9,273,969**
აქტივები გამოსახული სამართლიანი ღირებულებით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
ფული და ფულის ექვივალენტები	15,243,905	-	-
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	7,520,092	-	-
გაცემული სესხები	-	-	5,572,218
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	339,207	-	-
დებიტორული დავალიანება	978,093	-	-
სულ	**24,081,297**	**-**	**5,572,218**

კომპანიას არ აქვს ფინანსური ვალდებულება, რომელიც კლასიფიცირდება კატეგორიაში „სამართლიანი ღირებულებით მოგებისა ან ზარალის ასახვით“. წარმოდგენილი ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს კლიენტის ფულად სახსრებს იხ შენიშვნა 20.

საკრედიტო რისკი
კომპანია საკრედიტო რისკს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოების ინფორმაცია, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31-დეკ-17	31-დეკ-16
ფული და ფულის ექვივალენტები	3,993,616	457,930
გაცემული სესხები	6,880,552	5,572,218
დებიტორული დავალიანება	2,393,377	978,093

როგორც შენიშვნა 20 განმარტავს, ფულისა და ფულის ექვივალენტების ბალანსი წარმოადგენს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან დეპოზიტებს სამ თვემდე ვადიანობით. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისთვის. ყველა დებიტორული დავალიანება და წინასწარი გადახდა, რომელიც ვადაგადაცილებულია ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის შესაბამისად არის გაუფასურდებული. გასაყიდად ხელმისაწვდომი ყველა ფინანსური აქტივი მოცემულია წილობრივი ინსტრუმენტის სახით და ამგვარად, არ ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	28,940,478	-	-	28,940,478
დებიტორული დავალიანება	2,373,731	19,646	-	2,393,377
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	5,835,213	-	-	5,835,213
გაცემული სესხები	-	6,880,552	-	6,880,552
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	-	126,475	-	126,475
სულ ფინანსური აქტივები	**37,149,422**	**7,026,673**	**-**	**44,176,095**
ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	1,299,218	-	-	1,299,218
კრედიტორული დავალიანება	28,228,401	-	-	28,228,401
გრძელვადიანი სესხები	-	1,733,811	-	1,733,811
სულ ფინანსური ვალდებულებები	**29,527,619**	**1,733,811**	**-**	**31,261,430**
ლიკვიდურობის პოზიცია	**7,621,803**	**5,292,862**	**-**	**12,914,665**

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	15,243,905	-	-	15,243,905
დებიტორული დავალიანება	630,565	347,528	-	978,093
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	7,520,092	-	-	7,520,092
გაცემული სესხები	-	5,572,218	-	5,572,218
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	-	339,207	-	339,207
სულ ფინანსური აქტივები	**23,394,562**	**6,258,953**	**-**	**29,653,515**
ფინანსური ვალდებულებები				
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	146,680	-	-	146,680
მოკლევადიანი სესხები	475,232	-	-	475,232
კრედიტორული დავალიანება	16,163,963	-	-	16,163,963
გრძელვადიანი სესხები	-	2,668,019	-	2,668,019
სულ ფინანსური ვალდებულებები	**16,785,875**	**2,668,019**	**-**	**19,453,894**
ლიკვიდურობის პოზიცია	**6,608,687**	**3,590,934**	**-**	**10,199,621**

წარმოდგენილი ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს კლიენტის ფულად სახსრებს იხ შენიშვნა 20.
წარმოდგენილი კრედიტორული დავალიანებები მოიცავს კლიენტის მიმართ დავალიანებას იხ. შენიშვნა 23.

საპროცენტო რისკი
კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა როგორც უმნიშვნელო.

სავალუტო რისკი
უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებასა და ფასიანი ქაღალდების ფლობას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	გაცემული სესხები	დებიტო-რული დავალიანება	გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	სულ
ლარი	5,656,550	2,144,171	225,000	1,117,703	126,475	9,269,899
ევრო	4,396,085	341,339	-	645,690	-	5,383,114
აშშ დოლარი	13,170,959	3,338,555	6,655,552	430,867	-	23,595,933
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	5,056,060	11,148	-	199,117	-	5,266,325
შვეიცარიული ფრანკი	494,785	-	-	-	-	494,785
სხვა	166,039	-	-	-	-	166,039
სულ	**28,940,478**	**5,835,213**	**6,880,552**	**2,393,377**	**126,475**	**44,176,095**

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	გაცემული სესხები	დებიტო-რული დავალიანება	გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	სულ
ლარი	1,264,251	825,915	-	775,316	94,253	2,959,735
ევრო	297,187	-	-	295	-	297,482
აშშ დოლარი	8,959,880	6,686,134	5,572,218	193,450	244,954	21,656,636
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,912,330	8,043	-	7,589	-	3,927,962
შვეიცარიული ფრანკი	646,541	-	-	-	-	646,541
სხვა	163,716	-	-	1,443	-	165,159
სულ	**15,243,905**	**7,520,092**	**5,572,218**	**978,093**	**339,207**	**29,653,515**

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

	31-დეკ-17	31-დეკ-16
ლარი	5,377,732	2,908,539
ევრო	5,751,897	579,475
აშშ დოლარი	14,202,034	11,393,953
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	5,221,934	3,768,748
სხვა	707,833	803,179
სულ	**31,261,430**	**19,453,894**

წარმოდგენილი ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს კლიენტის ფულად სახსრებს იხ შენიშვნა 20. წარმოდგენილი კრედიტორული დავალიანებები მოიცავს კლიენტის მიმართ დავალიანებას იხ. შენიშვნა 23.

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 2017 წლისათვის 316,675 ლარით (2016: 211,554 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 264,426 ლარით (2016: 200,409 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 357,081 ლარით (2016: 246,679 ლარით).

28 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

29 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. კომპანია პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ქვემოთ განხილულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც მეტწილად ზეგავლენა აქვთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ რაოდენობებზე, და რომლებიც შემდგომი ფინანსური წლის განმავლობაში იწვევენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკს.

საეჭვო მოთხოვნების გაუფასურება
კონტრაგენტებისგან მომავალში მისაღები თანხების ალბათობის შეფასება არის იდენტიფიკატორი იმისა, არის თუ არა მოთხოვნები გაუფასურებული. უიმედო ვალების ჩამოწერა ხდება მათი გამოვლენის დროს, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მოთხოვნისთვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს გაუფასურება. იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული პროცესის განხორციელება შეუძლებელია, უნდა განხორციელდეს გაუფასურების კოლექტიურად შეფასება. შედეგად, ინდივიდუალური და კოლექტიური შეფასებების ჩატარების მეთოდი საჭიროებს მნიშვნელოვან შეფასებებს, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულებაზე საანგარიშო თარიღისთვის.

აქტივების გაუფასურების შემოწმება
ფინანსური აქტივი ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფი, გარდა ფინანსური აქტივებისა „სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალში ასახვით“, ფასდება გაუფასურებაზე თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. გაუფასურებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანია დაადგენს, რომ „ზარალის შემთხვევა“, რომელიც გავლენას ახდენს ამ ფინანსური აქტივებიდან მისაღებ მომავალ ფულად ნაკადებზე უკვე დამდგარია. შესაძლებელია ვერ მოხერხდეს ცალკეული გარემოების გამოვლენა, რომელმაც გამოიწვია გაუფასურება, და მეტიც, იმის განსაზღვრა თუ როდის წარმოიშვა ზარალის შემცველი გარემოება, რომელიც დაკავშირებულია მნიშვნელოვანი შეფასებების გაკეთებასთან.

ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი, წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალში მისაღებ ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გასაყიდად ხელმისაწვდომად კლასიფიცირებულ წილობრივ ინვესტიციებთან დაკავშირებით, კომპანია გაუფასურებულად ცნობს, როდესაც ადგილი აქვს სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან ხანგრძლივ ვარდნას. იმისთვის, რომ განისაზღვროს რას გულისხმობს „მნიშვნელოვანი“ ან „ხანგრძლივი“, საჭიროებს მნიშვნელოვან შეფასებებს.

მატერიალური და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურების ანალიზი საჭიროებს აქტივის მიერ გენერირებული სარგებლის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ღირებულების გამოთვლას, რომელზეც მიბმულია აქტივი. აქტივის მიერ გენერირებული სარგებლის გამოთვლა ძირითადად დაფუძნებულია დისკონტირებული ფულის ნაკადის მოდელებზე, რისთვისაც კომპანიამ უნდა გამოთვალოს მომავალში სავარაუდო ფულის ნაკადები ამ აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან და ასევე უნდა შეარჩიოს სათანადო დისკონტირების განაკვეთი, რათა გამოთვალოს ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება.

სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება
ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის კომპანიის ზოგი აქტივი და ვალდებულება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გამოსათვლელად, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ არ არის ხელმისავდომი პირველი დონის მონაცემები (მაგ: არაკოტირებული ინვესტიციებისთვის), კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან, რომლებიც ახორციელებენ შეფასებას დადგენილი შესაფერისი შეფასების ტექნიკებზე და მოდელისთვის საჭირო ინფორმაციაზე დაყრდნობით (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენება, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზი, ოფციონის ფასის გამოთვლის მოდელები, რომლებიც მორგებულია ემიტენტის გარკვეულ გარემოებებზე). შემფასებლების მიერ ამგვარად განსაზღვრული ფასები კომპანიის მიერ გამოიყენება კორექტირების გარეშე. კვარტალურად, კომპანიის დირექტორთა საბჭოს საშემფასებლო ქვეკომიტეტი ახორციელებს აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ცვლილებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზს. ასეთი შეფასებებისთვის კომპანიამ შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგიებიდან უნდა გააკეთოს არჩევანი და გამოთვალოს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთები.